ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4526746

ნომერი: AR1682520

თარიღი : 20.05.2019

გაცემის თარიღი : 03.06.2019

გაცნობის თარიღი : 03.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი II , "არაშენდა"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელგუჯა პატაშური პ/ნ 01011043635
- კობარეთის 71

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 20 მაისის #AR1682520 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დასახლება თემქა, მიკრო/რაიონი XI, კვარტალი II, "არაშენდა"-ს მიმდებარედ, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.12.02.020.019 მიწის ნაკვეთზე დადგენილი განაშენიანების რეგულირების ხაზის (უკანა ეზოსთვის) გაუქმების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთის ის ნაწილი (ფართობი), რომელიც მოქცეულია საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) სამეზობლო საზღვარსა/საზღვარებსა და ამ მუხლის შესაბამისად დადგენილ წითელ ხაზ(ებ)ს შორის, არის მიჯნის ზონის ნაწილი, რომელსაც მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების მიზნებისათვის ეწოდება მიწის ნაკვეთის უკანა ეზო.

ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთი მხოლოდ ერთი მხრიდან ესაზღვრება ქუჩას ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, მაშინ საზოგადოებრივი საზღვრის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან წითელი ხაზ(ებ)ი უნდა დადგინდეს 3.0 მეტრ მანძილზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ორ ურთიერთგადამკვეთ ქუჩას ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, მაშინ საზოგადოებრივი საზღვრების მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან წითელი ხაზ(ებ)ი უნდა დადგინდეს 3.0 მეტრ მანძილზე ურთერთგადაკვეთამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთს სამხრეთ დასავლეთ მხრიდან არ აქვს დადგენილი საზოგადოებრივი სივრცე, სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია 01/02/2019 წლის №4358761 ბრძანებით დადგენილი განაშენინების რეგულირების ხაზის შემცირება, ურთუერთგადამკვეთი განაშენინების რეგულირების ხაზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განაშენიანების რეგულირების ხაზის (უკანა ეზოსთვის) გაუქმების მოთხოვნა.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.